ქართული მედიასივრცე
2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე

2012 წლიდან დღემდე ქართული მედიასივრცე მნიშვნელოვნად შეიცვალა და უფრო პლურალისტური გახდა, რასაც სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში ცვლილებებიც მიუთითებს. 2015 წლის ბაფხულში საქართველო მთლიანად ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა რაც უდაოდ პოზიტიური მოვლენაა ქართული მედია გარემოსთვის. ყოველივეს რამდენიმე ტელეკომპანიის გახსნა და აღდგენაც მოყვა. ქართულ სატელევიზიო სივრცეს ტელეკომპანია "პირველი" შეემატა, ასევე მაუწყებლობა აღადგინა ტელეკომპანია "იბერიამ".

ბოლო ოთხი წლის მანძილზე საქართველოს მაჩვენებელი მედიის თავისუფლების რეიტინგებში გაუმჯობესდა. საქართველო 2012 წლიდან დღემდე რამდენიმე პუნქტით დაწინაურდა საერთაშორისო ორგანიზაციის - "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" რეიტინგში. ეს პროგრესი ერთი მხრივ აიხსნება საქართველოში მედია სივრცეში გარკვეულწილად პოზიტიური ძვრებითა და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის წარმატებით დასრულებით, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებების და დემოკრატიის თვალსაზრისით გაურესებული სიტუაციით.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო როგორც მედია საშუალებებს, მათ მფლობელობას და წამყვან ჟურნალისტებს, ასევე სარეკლამო ბაზარსაც. ბოლო წლების მანძილზე, პირველად 2015 წელს მაუწყებელთა სარეკლამო შემოსავლებმა მნიშვნელოვნად იკლო. ტელევიზიების მიერ დეკლარირებული სარეკლამო შემოსავლები 2015 წელს წინა წელთან შედარებით 33%-ით შემცირდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოს სარეკლამო ბაზარი არ არის ისეთი მონოპოლიზებული, როგორც 2012 წლამდე პერიოდში შეიმჩნეოდა. ასევე, სახელმწიფო უხეშად არ ერევა სარეკლამო ბაზრის მართვაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა სატელევიზიო სივრცეში მომხდარი ცვლილებები. 2012 წლის შემდეგ ცვლილებები შეეხო როგორც ტელეარხების მფლობელობას, ასევე არხების მთავარ სახეებს, ჟურნალისტებსა და სარედაქციო გუნდებს. 4 წლის განმავლობაში ეტაპობრივად დაიხურა რამდენიმე მაღალრეიტინგული გადაცემა. ამის მიზეზი, გადაცემის წამყვანების ინფორმაციით, მთავრობას და მედია მფლობელებს შორის გარკვეული გარიგება იყო. ზოგ შემთხვევაში მიზეზად ტელეკომპანიის მფლობელის პოლიტიკა დასახელდა. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ჟურანლისტების შანტაჟისა და მათზე ზეწოლის ცალკეული ფაქტებიც, რომელთა ეფექტური გამოძიება ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა.

საანგარიშო პერიოდში დადგინდა, რომ ჟურნალისტების შრომითი უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანა კვლავ გამოწვევის წინაშე დგას. განსაკუთრებით კერძო ტელეკომპანიებში ჩანს, რომ კვლავაც პრობლემაა ჟურნალისტებისთვის გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება,

რაც, თავის მხრივ, დამატებითი მექანიზმია მათი სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

საქართველოში მედია გარემოს შეფასებისთვის საკვანძო საკითხად იქცა ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის მფლობელობის დავა, რომელიც ამჟამად უზენაეს სასამართლოში განიხილება. საქმის განხილვამ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, ასევე პარალელურად არხისა და მისი მენეჯმენტის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა არაერთი კითხვა გააჩინა პროცესის პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირებით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

საანგარიშო პერიოდში ანტიდასავლური მედია საშუალებების გააქტიურება შეიმჩნეოდა. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული მედია საშუალებები გარკვეულ დაფინანსებას საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან იღებდა.

მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე იდგა რეგიონული მედია. ერთის მხრივ ცალსახად დაფიქსირდა რეგიონული მედია საშუალებების გააქტიურება თუმცა, მეორეს მხრივ, პრობლემას წარმოადგენდა მათი ადგილობრივ თვითმმართველობებისგან მიღებულ შემოსავლებზე დამოკიდებულება.

საერთაშორისო რეიტინგები

საერთაშორისო ორგანიზაციის "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" რეიტინგში საქართველო ბოლო ოთხი წლის მანძილზე რამდენიმე პუნქტით დაწინაურდა. თუმცა ორგანიზაციის შეფასება კვლავ ხაზს უსვამს მედია გარემოსთვის პოტენციური საფრთხეების

ინიზებულია დარსებული" პროგრესის ,
ნ გავლენას სარედაქციო შინაარსზე ასევე .
ბაითვალოს ომები მთავარი საგელევიზიო
," - ასე აფასებს "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" 2016 წელს ქართულ მედია სივრცეს.

RSF - რეიტინგების გრაფიკი 2012-2016

IREX-ის მედიის მდგრადობის ინდექსში 2011 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოს რეიტინგი უმჯობესდებოდა კვლევის ოთხივე კომპონენტში: სიტყვის თავისუფლება, პროფესიული ჟურნალისტიკა, პლურალური ახალი ამბების წყაროები და ბიზნესის მენეჯმენტი. თუმდა 2015 და 2016 წელს კვლევამ აჩვენა მედია გარემოში არასახარბიელო ცვლილებები. განსაკუთრებით გაუარესდა მაჩვენებელი "ბიზნესის მენეჯმენტის" და

ქართული მედია ამ ამოცანის შეფასებით არამდგრადი/შერეული სისტემის კატეგორიაში მოხვდა.



“ , , ,
.
,
, 2015 .” - MSI, 2016



Unsustainable, Anti-Free Press (0–1): Country does not meet or only minimally meets objectives. Government and laws actively hinder free media development, professionalism is low, and media-industry activity is minimal.

Unsustainable Mixed System (1–2): Country minimally meets objectives, with segments of the legal system and government opposed to a free media system. Evident progress in free-press advocacy, increased professionalism, and new media businesses may be too recent to judge sustainability.

Near Sustainability (2–3): Country has progressed in meeting multiple objectives, with legal norms, professionalism, and the business environment supportive of independent media. Advances have survived changes in government and have been codified in law and practice. However, more time may be needed to ensure that change is enduring and that increased professionalism and the media business environment are sustainable.

Sustainable (3–4): Country has media that are considered generally professional, free, and sustainable, or to be approaching these objectives. Systems supporting independent media have survived multiple governments, economic fluctuations, and changes in public opinion or social conventions.

ბოლო სამი წლის მანძილზე უცვლელია საქართველოში მედიის თავისუფლების რეიტინგი "Freedom House"-ის შეფასებით. შვიდბალიან შკალაზე, რომელზეც შვიდი არათავისუფალ მედიას ნიშნავს, ხოლო 1 თავისუფალს, საქართველოს 4.00 ქულა აქვს. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების შესახებ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში ორგანიზაცია საკმაოდ კრიტიკულად აფასებს საქართველოში მედია გარემოს 2016 წლის მდგომარეობით:

“ ,
. , “ 2”-
, .” - *Freedom House, 2016*

Freedom House

წელი	საქართველოს რეიტინგი
2012	4.25
2013	4.25
2014	4.00
2015	4.00
2016	4.00

ტელეკომპანიის მეპატრონეთა ცვლილება და საკადრო გადაადგილებები

რუსთავი 2

04.12.2012 - „რუსთავი 2“-ის 40% დავით კეზერაშვილის კომპანია „მედია ჯორჯიაზე” 500,000 აშშ დოლარად გასხვისდა. „მედია ჯორჯიამ“, რომელიც ამ გარიგებამდე ერთი დღით ადრე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, წილები ხუთ დღეში გიორგი ყარამანიშვილს იგივე ფასად მიყიდა. 2012 წლის ნოემბრიდან რუსთავი 2-ის მფლობელები ძმების ყარამანიშვლები არიან, 9%-ს კი გარდაცვალებამდე გიორგი გეგეშიძე ფლობდა. გარდაცვალების შემდეგ მისი წილები მეუღლის, ნინო ნიჟარაძის მფლობელობაში გადავიდა. ნომბრიდანვე რუსთავი 2-ის დირექტორი მთავრობის ყოფილი წევრი ნიკა გვარამია გახდა.

05.10.2012 - რუსთავი 2-ის დამფუძნებლებმა დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ განაცხადეს, რომ ტელეკომპანიის დასაბრუნებლად სამართლებრივ ბრძოლას იწყებდნენ.

22.12.12 - ნიკა გვარამიას მოქრთამვაში დახმარების გაწევაში, ფულის გათეთრებაში, ცრუ მეწარმეობაში და დოკუმენტების გაყალბებაში ბრალი წარუდგინეს, თუმცა, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ სასამართლომ გვარამია გაამართლა.

04.08.2015 - ბიზნესმენი და “რუსთავი 2”-ის წილების ყოფილი მლობელი ქიბარ ხალვაში კომპანიის წილების დასაბრუნებლად ბრძოლას იწყებს. შელახული საკუთრების უფლებების აღდგენის მოთხოვნით ბიზნესმენმა სასამართლოს სარჩელით მიმართა. საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, ხალვაშმა სასამართლოსგან “რუსთავი 2”-ის აქციების დაყადაღება მოითხოვა.

01.09.2015 - ქიბარ ხლავაშის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ დააყადაღა შპს "ტელეკომპანია საქართველოს" 100%–იანი წილი. ყადაღის საფუძველი „ტელეკომპანია

საქართველოს” წილების გასხვისების მცდელობა გახდა. საჯარო რეესტრში არსებული ხელშეკრულების თანახმად, შპს “ტელეკომპანია "საქართველოს” ყიდულობდა დიმიტრი ჩიქოვანი, ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის ცოლის ძმა..

5.11.2015 - მოსამართლის გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2”–ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას და ფინანსურ დირექტორს კახა დამენიას უფლებამოსილება შეუჩერდათ. ტელეკომპანიის დროებით მმართველებად ტელეკომპანია “იმედის” ყოფილი დირექტორი რევაზ საყევარიშვილი და დავით დვალი დაინიშნენ. რამდენიმე დღეში საყევარიშვილმა დირექტორებს უფლებამოსილება აღუდგინა.

10.06.2016 - გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამრთლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რუსთავი 2-ის წილის 60% ქიბარ ხალვაშისთვის, ხოლო 40% კი ხალვაშის კუთვნილ კომპანისთვის გადაცემის შესახებ.

04.09.2016 - საჯარო გახდა შეთანხმება ირაკლი ოქრუაშვილსა და ქიბარ ხალვაშს შორის, რომლის მიხედვითაც ხალვაში რუსთავი 2-ს ფლობდა, როგორც ოქრუაშვილის წარმომადგენელი. ოქრუაშვილის განცხადებით, რუსთავი 2-ის შესახებ დავას ის საზღვარგარეთის სასამართლოში აპირებს.

09.09.2016 - უზენაესმა სასამართლომ რუსთავი 2-ის სარჩელი წარმოებაში მიიღო.

“რუსთავი 2”-ის წილის მფლობელმა შპს “ტელეკომპანია საქართველომ” სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოშიც შეიტანა. ამ დრომდე ვერ მოხერხდა საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის შეკრება აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული საქმის განხილვა მიზანმიმართულად ფერხდება დაინტერესებული პოლიტიკური ჯგუფის მხრიდან.

მაესტრო

18.09.2015 - შპს. ,,სტუდია მაესტრო”-ს დირექტორმა ეთერ გადაბაძემ „მაესტროს” გადახდისუუნაროდ ცნობის და გაკოტრების საქმის წარმოების თხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიას.

სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო. „მაესტროს” ერთ-ერთმა მფლობელმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ ტელეკომპანიის გაკოტრება მიზანმიმართულად ხდებოდა და ამის მიზეზი კომპანიის კიდევ ერთი მფლობელის მაკა ასათიანის მიერ მისგან აღებული კრედიტების დაფარვის მოთხოვნა გახდა.

გაკოტრების პროცესის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, მაესტროში მფლობელების ცვლილება მოხდა.

02.02.2016 - საჯარო რეესტრში ასახული ცვლილების თანახმად, ტელეკომპანიის საკონტროლო წილის (55%) მფლობელი გიორგი გაჩეჩლაძე გახდა. გაჩეჩილაძემ ორი თანამფლობელისგან, გიორგი ებრალიძისგან და ლევან ჩიკვაიძისგან 15-15%-იანი წილი შეიძინა.

ტელეკომპანია "მაესტროს" წილების დანარჩენ 45%-ს მამუკა ღლონტი (15%), ეკატერინე აკობია (5%) და მაკა ასათიანი (25%) ინაწილებენ. გიორგი გაჩეჩილაძის ადვოკატის, ირაკლი კორძახიას განცხადებით, წილების გამოსყიდვისათვის საჭირო თანხა გიორგი გაჩეჩილაძეს ირაკლი რუხაძემ ასესხა. რუხაძე, თავის მხრივ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ბიზნესის, მათ შორის ტელეკომპანია "იმედის" მმართველია. პატარკაციშვილების ოჯახთან კონტაქტს ადასტურებს გიორგი გაჩეჩილაძეც.

ცვლილებების საფუძელზე, არხის გენერალური დირექტორი ეთერ (ბაია) გადაბაძე სამსაურიდან პარტნიორთა კრების თანხმობის საფუძველზე გადააყენეს. გადაბაძის გადაყენების შემდგომ დირექტორად ლევან გაჩეჩილაძე დაინიშნა, მოგვინებით იგი ზურაბ ნაყეურმა ჩაანაცვლა.

ტელეკომპანია "მაესტროს" მფლობელობის დავაში გამოკვეთილი იყო რამდენიმე მხარის კერძო ინტერესი. ამ ეტაპზე დავა მხარეებს შორის მორიგებით დასრულდა და არხი აგრძელებს ფუნქციონირებას.

იმედი

17.10.2012 - საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ტელეკომპანია იმედი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს გადაეცა. ტელეკომპანიის გარშემო დავა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, სადაც ოჯახი ამტკიცებდა რომ ტელეკომპანია მათ სახელმწიფომ წაართვა.

13.06.2016 - ირაკლი რუხაძე, ტელეკომპანია იმედის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი ხდება. აღნიშნული ფაქტის გამო, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ, რომელიც ირაკლი რუხაძის დედაა, საბჭო დატოვა.

23.06.2016 - საინფორმაციო სამსახურის უფროსი მაია თაბაგარი დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლდა, იგი ჟურნალისტმა ნანა ლეჟავამ ჩაანაცვლა. საინფორმაციო სამსახურის უფროსის ცვლილებასთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთეს "ქრონიკის" ჟურნალისტებმა. მათი განცხადებით, წინასაარჩევნო პერიოდში საკადრო ცვლილება,

რომელსაც არ აქვს რაიმე ობიექტური მიზეზი ეჭვქვეშ დააყენებს "არხის და მისი თანამშრომლების რეპუტაციას, სანდოობას და სიტყვის თავისუფლების ხარისხს"

გადაცემების დახურვა და სარედაქციო ცვლილებები ტელეარხებზე

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა ცნობილი ჟურნალისტების მიერ კონკრეტული ტელევიზიების დატოვების ფაქტები. ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტები არხის დატოვებას მათი ხედვების სარედაქციო პოლიტიკასთან შეუთავსებლობითა და ტელეკომპანიების მენეჯმენტის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევით ხსნიდნენ. ასევე საუბარი იყო კონკრეტული ტელეარხების მენეჯმენტის წარმომადგენლების პოლიტიკურ მოტივაციებზე. იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტების განცხადებით, კონკრეტული წამყვანის "ეთერიდან მოცილება" მთავრობის პირდაპირი დავალება იყო.

მაესტრო

28.09.2014 - ჟურნალისტმა ვახო სანაიამ „მაესტრო" დატოვა. სანაიას მიერ არხის დატოვების მიზეზად კომპანიის დირექტორმა ბაია გადაბაძემ უთანხმოება დაასახელა. სანაიას არხზე გადაცემა "ცხრიანს" უძღვებოდა. იმავე წლის დეკემბერში ჟურნალისტმა „მაესტროდან" წასვლასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მისი თქმით, „მაესტროს" დირექტორთან შეხვედრაზე მას განუცხადეს, რომ საკუთარი გადაცემებით, შესაძლოა, არხი ხელისუფლებასთან დაეპირისპირებინა და პრობლემები შეექმნა. რამდენიმე თვით ადრე ვახო სანაიას გადაცემა მთავრობამ გააკრიტიკა. 20 მაისს მთავრობის პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა და ტელეკომპანია „მაესტროს" 18 მაისის გადაცემა "ვახო სანაიას რეპორტაჟს" ტენდენციური უწოდა. გადაცემაში ხელისუფლების საქმიანობისადმი კრიტიკულად განწყობილი სიუჟეტები გავიდა.

28.10.2014 - დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია "მაესტროს" ტოვებენ. დიანა ტრაპაიძეს არხის დატოვებასთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა, როგორც გადაცემის პროდიუსერმა, ირაკლი აბსანძემ განაცხადა, ტრაპაიძემ წასვლის გადაწყვეტილება არხის ფაქტობრივ მმართველთან კოტე გოგელიასთან შეხვედრის შემდგომ მიიღო.

22.12.2014 - "მაესტროს" ტოვებენ საინფორმაციო სამსახურის უფროსი და ჟურნალისტების ნაწილი. არხის ერთ-ერთი მფლობელის მაკა ასათიანის მეუღლესთან და რწმუნებულთან კოტე გოგელიასთან დაპირისპირების შემდგომ არხის დირექტორის მოადგილემ და „ცხრიანის" წამყვანმა ნინო ჟიჟილაშვილმა "მაესტრო" დატოვა. მასთან ერთად ტელეკომპანია დატოვეს არხის ჟურანლისტებმა და პროდიუსერებმა. მომხდარის შემდგომ არხზე რეორგანიზაცია გამოცხადდა. მოგვიანებით გაკეთებულ განცხადებაში ჟიჟილაშვილმა

განმარტა, რომ კოტე გოგელიამ მას განუცხადა, რომ “მაესტრო” იდეოლოგიზებული და "პროქართული" უნდა გამხდარიყო.

21.01.2016 -“მაესტრო” 7 წლიანი ურთიერთობის შემდგომ საგამოძიებო სტუდია „მონიტორთან” თანამშრომლობას წყვეტს. სტუდია “მონიტორის” ინფორმაციით, „მაესტროს” ხელმძღვანელობამ თანამშრომლობის გაწყვეტის მოტივად საკუთარი საგამოძიებო გადაცემის გაკეთება დაასახელა. თუმცა ამ დრომდე “მაესტროზე”
მსგავსი სახის გადაცემა არ არსებობს.

31.05.2016 - ტელეკომპანია მაესტროს აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ნაყეურმა, წამყვანი და რამდენიმე გადაცემის ავტორი გიორგი ისაკაძე გაათავისუფლა.

ტელეკომპანიის დირექტორმა გადაწყვეტილება ისაკაძის საავტორო გადაცემების ე.წ. აუთსორსზე გასვლის მოთხოვნის შემდგომ მიიღო.

ისაკაძის განმარტებით, მისი საბოლოო გათავისუფლების საბოლოო მიზეზი ე.წ აუთსორსზე გასვლის გარდა, მის გადაცემაში დასაქმებულთა მიმართებაში სახელფასო პოლიტიკის გადახედვაც გახდა.

გიორგი ისაკაძე გადაცემების: “საქმიანი დილის”, “ბიზნესკონტაქტისა” და “ანალიტიკის” პროექტების მენეჯერი და წამყვანი იყო.

02.06.2016 - გადაცემების “ბიზნესკონტაქტისა” და “საქმიანი დილის” თანამშრომლებს უფლებამოსილება, ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის გადაცემა “არჩევანში” მონაწილების მიღებისთვის შეუჩედათ. 3 ივლის კი გადაცემები “ბიზნესკონტაქტი”, “საქმიანი დილა” და “ანალიტიკა” ეთერიდან მოიხსნა.

“ბიზნესკონტაქტი”, “საქმიანი დილა” და “ანალიტიკა” მაუწყებლობას ტელეკომპანია “პირველის” ეთერიდან აგრძელებს.

იმედი

31.08.2015 - ტელეკომოპანია “იმედი” ორ ყველაზე რეიტინგულ გაცემას, თოქშოუებს „რეაქციას“ და „იმედის კვირას“ ხურავს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუების დახურვის მიზეზად არხმა გადაცემების ფორმატის შეცვლის გადაწყვეტილებით ახსნა, თუმცა გადაცემების წამყვანი, ინგა გრიგოლია მომხდარს პოლიტიკურ დავალებად მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ იგი გადაცემების მოსხნის შესახებ არავის გაუფრთხილებია;

05.05.2016 - ტელეკომპანია “იმედიდან” გაათავისუფლეს წამყვანი და პროდუსერი შალვა რამიშვილი. ტელეკომპანიამ საქმიანი ურთიერთობა შეწყვიტა რამიშვილის კომპანიებთანაც, რომლებიც ტელეარხისთვის სხვადასხვა გადაცემებს ამზადებდა. რამიშილის განცხადებით მისი გათავისუფლება, არხის გენერალური დირექტორის გიორგი ბახტაძის მხრიდან მის სარედაქციო საქმიანობაში ჩარევას უკავშირდება. რამიშვილმა ბახტაძის წინააღდეგ საჩივრით ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასაც მიმართა, რომელმაც მოგვიანებით ქარტიის მეორე მუხლის დარღვევა დაადგინა. ამ მუხლის თანახმად დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები

6.04.14 - რუსთავი 2-ის განცხადებით ტელეკომპანიაში ფარულ ჩანაწერებს ახორციელებდნენ. ამ ფაქტის გასაჯაროებიდან 3 დღის შემდეგ პროკურატურამ შუალედური შედეგები გამოაქვეყნა, თუმცა გამოძიების შემდგომი მსვლელობის შესახებ ინფორმაცია არ გასაჯაროებულა.

09.09.2015 - ეკა მიშველაძემ განაცხადა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მისი და ალექსი პეტრიაშვილის ურთიერთობის შესახებ ამ ფაქტის გასაჯაროებამდე იცოდნენ.

21.10.2015 - ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ მას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით დაემუქრნენ. პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, თუმცა გამოძიების შედეგები არ გასაჯაროებულა.

14.03.2016 - ინგა გრიგოლიამ განაცხადა, რომ მას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებით ემუქრებიან.

აღსანიშნავია, რომ დღემდე არ მომხდარა აღნიშნული ფაქტების გამოძიება და სამართალდამცავი ორგანოები ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტების გამოძიებისას არ გამოირჩევიან ეფექტურობით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონული მედიის წარმომადგენლებზე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის 15-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიერ შეგროვებული ინფორმაცია შემთხვევების შესახებ ცხადყოფს, რომ თანამდებობის პირებს და საჯარო მოხელეებს კარგად არ აქვთ გააზრებული დამოუკიდებელი მედიის როლი და კრიტიკულ ჟურნალისტურ მასალებზე ხშირად არაადეკვატურად რეაგირებენ. ძირითადად ჟურნალისტებზე ზეწოლა გულისხმობდა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას, მუქარას და მათთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხელის შეშლის მცდელობას. მოკვლევის თანახმად, ყველაზე

ხშირად ზეწოლის ადრესატები კახეთისა და აჭარის რეგიონის ჟურნალისტები ხდებოდნენ. ზეწოლის ფაქტები ასევე დაფიქსირდა გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

ზეწოლის რამდენიმე ფაქტზე, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ისაუბრა კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა გელა მთივლიშვილმა. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფაქტი გაასაჯაროვეს ტელეკომპანია თრიალეთის ჟურნალისტებმა. ადგილობრივ ხელისუფლებას დაუპირისპირდა გაზეთი ჩემი ხარაგაულიც.

ზეწოლის ფაქტებზე საუბრობდნენ "სამხრეთის კარიბჭე" და "გურია ნიუსი". „სამხრეთის კარიბჭის" თანამშრომლების განცხადებით მათზე ზეწოლას სამართალდამცავები მას შემდეგ ახდენდნენ, რაც მათი მითითებით, რედაქციამ მასალის სახელწოდება არ შეცვალა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის და მერის მხრიდან შეურაცხყოფის ფაქტებზე საუბრობდნენ "გურია ნიუსის" ჟურნალისტები. "გურია ნიუსის" ერთ-ერთმა ჟურნალისტმა კი პროკურატურას მას შემდეგ მიმართა რაც ოზურგეთის მერის მრჩეველი, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, სოფო ჭანტურია, ადგილობრივი მედიის, მათ შორის „გურია ნიუსისა" და „გურიის მოამბის" წარმომადგენლებს, სოციალურ ქსელში სისტემატურად ბრალდებებს უყენებდა და ზოგს საქმიანობის აკრძალვითა და ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით ემუქრებოდა.

18.08.2016 - მედისაშუალება media.ge-ს რედაქტორის დავით მჭედლიძის განცხადებით, პროფესიული საქმიანობის შერსულებაში პოლიციამ ხელი შეუშალა. მჭედლიძე ქალაქ რუსთავში ერთ-ერთი ოჯახის გამოსახლების პროცესს აშუქებდა. ადგილზე მისულს გამოსახლების პროცესში მონაწილე პოლიციელმა შემთხვევის ადგილიდან გაძევების მიზნით, როგორც ჟურნალისტი ამბობს: "ხელი ჰკრა, კისერში სწვდა, შემდეგ კი კამერა გააგდებინა ხელიდან".

დავით მჭედლიძემ პროკურატურაში საჩივარი შეიტანა პროფესიული საქმიანობის დროს ხელის შეშლისა და მასზე განხორციელებული ფიზიკური ზემოქმედების გამო.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

20.12.2012 - სამეურვეო საბჭომ გენერალურ დირექტორად გიორგი ბარათაშვილი აირჩია. მომდევნო ერთი წლის განმავლობაში საბჭომ ბარათაშვილი თანამდებობიდან ორჯერ გაათავისუფლა, თუმცა, იგი სასამართლომ ორივეჯერ აღადგინა თანამდებობაზე.

17.09.2013 - საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ჟურნალისტები დავით პაიჭაძე და ეკა კვესიტაძე გაათავისფულეს. ამის მიზეზად ჟურნალისტების მიკერძოებული პოზიცია

დაასახელეს. ამ შემთხვევამ გააჩინა კითხვები საზოგადოებრივ მაუწყებელზე ჟურნალისტების პროფესიულ თავისუფლებასთან დაკავშირებით.

12.07.2013 - ძალაში შევიდა „მაუწყებლობის შესახებ" კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც აჭარის ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმით ჩამოყალიბდა. იქამდე აჭარის ტელევიზია აჭარის მთავრობის დეპარტამენტის სახით არსებობდა, რაც კანონთან შეუსაბამო იყო, რადგანაც მაუწყებლობის შესახებ კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს სამაუწყებლო მედიის ფლობას უკრძალავს.

ამავე ცვლილებებით, შეიცვალა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების წესი. 15-ის ნაცვლად სამეურვე საბჭოს შემადგენლობა 9 წევრით განისაზღვრა, საიდანაც სამ წევრს წარადგენს საპარლამენტო უმრავლესობა, სამს - უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრები, ორს - სახალხო დამცველი, ერთს კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. საბჭოს რეფორმა მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას ითვალისწინებდა, რაც წევრებმა გააპროტესტეს. ამასთან, საბჭო ორმა მოქმედმა წევრმა დატოვა, რის შედეგადაც სამეურვეო საბჭო ხუთი თვის განმავლობაში უმოქმედო იყო. საბჭოს ცალკეული წევრები მათზე განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდნენ. ამან გააჩინა ეჭვები, რომ არსებული საბჭოს ვადაზე ადრე დაშლა პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. მოგვიანებით, საბჭოს წევრებმა, რომლებიც კვორუმის გამო გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ, უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოში გააპროტესტეს. საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხი მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა, რის შემდეგაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე შეიქმნა მონიტორინგის საბჭო, რომელიც საბჭოს მოქმედი წევრებისგან დაკომპლექტდა, ახალი წესით კი პარლამენტმა ახალი საბჭო დაამტკიცა.

მიუხედავად იმისა, რომ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები საბჭოს დაკომპლექტების უფრო პლურალისტულ მიდგომას ითვალისწინებდა, რეფორმის იმპლემენტაციის პროცესმა ცხადყო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი კვლავ პოლიტიკური თამაშების ასპარეზად იქცა. ამასთან, 2016 წლამდე პარლამენტმა არ აირჩია ოპოზიციის კვოტით წარდგენილი ორი კანდიდატი, რის გამოც კანონით გათვალისწინებული პლურალიზმი პრაქტიკაში არ იყო უზრუნველყოფილი.

09.04.2015 - ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთ ლიდერზე ქორწინება და ინტერესთა კონფლიქტი დასახელდა საზოგადოებრივი მაუწყებელზე ეკა მიშველაძის გადაცემა "პირველი სტუდიის" დახურვის მიზეზად. საზოგადოებრივი არხის მაშინდელმა მრჩეველმა ბასა ჯანიკაშვილმა სასტუმრო ჰოლიდეი ინში, მედიის წარმომადგენლების შეხვედრაზე ეკა მიშველაძის შეკითხვას თუ რატომ დაიხურა მისი გადაცემა უპასუხა, რომ "მაუწყებლის კოდექსის თანახმად, ჟურნალისტმა, რომელიც პოლიტიკური ლიდერის მეუღლეა,

უხერხულია, წაიყვანოს პოლიტიკური გადაცემა", - განაცხადა ბასა ჯანიკაშვილმა და აღნიშნა, რომ ეს ინტერესთა კონფლიქტია.

10.02.2016 - ეკა მიშველაძე სამსახურიდან გათავისუფლეს. ჟურნალისტი სამართლებრივ დავას იწყებს.

13.06.2016 - საქართველოს პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე ახალი წევრი აირჩია. ახალი წევრები არიან: სახალხო დამცველის წარმოდგენილი კანდიდატი ირინა ფუტკარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ორი სხვადასხვა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი გიორგი ნიჟარაძე და სულხან სალაძე, საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების მიერ წარმოდგენილი ირაკლი პაპავა. აღნიშნულით, საბოლოოდ დასრულდა სამეურვეო საბჭოს ფორმირების პროცესი.

07.09.2016 - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი სამ კერძო ტელეკომპანიასთან - "იმედთან" "GDS"-თან და "მაესტროსთან" ერთად არჩევნების დღეს ეგზიტპოლს ჩაატარებს. გადაწყვეტილება მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ 7 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მიიღო. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ "იმედთან", "მაესტროსთან" და "GDS"-თან ერთად ეგზიტპოლების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება სამეურვეო საბჭომ ერთსულოვნად ვერ მიიღო. საბჭოს ორმა წევრმა, სულხან სალაძემ და ქეთევან მსხილაძემ გადაწყვეტილებას მხარი პრინციპულად არ დაუჭირეს. მათი მოსაზრებით, ხსენებულ ტელეკომპანიებთან ერთად ეგზიტპოლის ჩატარება საზოგადოებრივი მაუწყებლის იმიჯისთვის რისკების შემცველია. საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაწყვეტილება უარყოთად შეაფასეს და მაუწყებელს გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, კოალიციამ მედია ადვოკატირებისთვის და მედია ექსპერტებმა.

ტელეკომპანიების დახურვა და გახსნა

20.10.2012 - მაუწყებლობა შეაჩერა საზოგადოებივი მაუწყებლის მესამე არხმა, „პიკმა," რის მიზეზადაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „პიკის" მიერ ხელშეკრულების დარღვევა დაასახელა. მას შემდეგ, საზოგადოებრივ მაუწყებელს მესამე არხი არ აუმოქმედებია.

10.01.2013 - მაუწყებლობა დაიწყო ტელეკომპანია „ტაბულამ." ტაბულამ ააიპ სამოქალაქო განვითარების კუთვნილი ლიცენზიით დაიწყო მაუწყებლობა. ეს ლიცენზია კი მას ტელეკომპანია „საქართველომ" გადასცა. ტელეკომპანია საქართველო 2012 წლამდე თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული ტელევიზია იყო და მას ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელი ფლობდა. არჩევნების შემდეგ არხმა ლიცენზია დათმო და

მაუწყებლობა შეწყვიტა. შპს ტელეკომპანია საქართველო დღემდე რუსთავი 2-ის მფლობელთა შორისაა, თავად ამ კომპანიას კი ძმები ყარამანიშვილები ფლობენ.

20.08.2013 - მაუწყებლობა შეაჩერა ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრებაში არსებულმა „მეცხრე არხმა." მიუხედავად არა ერთი ჯგუფის დაინტერესებისა მეცხრე არხი რესურსებით, არხს მაუწყებლობა აღარ განუახლებია.

13.03.2015 - ბიძინა ივანიშვილის შვილის ბერა ივანიშვილის ტელევიზიას საერთო მაუწყებლობის ლიცენზია მიანიჭეს, რის შემდეგაც არხზე ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები გადის. კომპანია 2012 წლის ივნისში დაარსდა და თავიდან გასართობი ტელევიზია იყო.

05.02.2014 - ტელეკომპანია „იბერიამ" მაუწყებლობა განაახლა. ომეგა ჯგუფის მფლობელის ზაზა ოქუაშვილის ტელევიზიამ სამაუწყებლო ლიცენზია 2004 წელს დაკარგა. მოგვიანებით ლიცენზია ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის მფლობელობაში აღმოჩნდა, რომელიც ასევე ფლობს ტელეკომპანია იმედს. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს, იმედთან ერთად ეს ლიცენზია დაუბრუნდა, მათ კი ის იბერიას გადასცეს.

14.01.2015 - ტელეკომპანია პირველმა საერთო მაუწყებლობის ავტორიზაცია მიიღო და ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება დაიწყო. იქამდე ტელეკომპანიას TVS ერქვა და სპორტული გადაცემებით მაუწყებლობდა.

ანტიდასავლური მედია საშუალებები და ანტიდასავლური პროპაგანდა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ქართულ მედიაში შეინიშნება, არის ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდის გაძლიერება ქართულენოვან მედია საშუალებებში.

ბოლო წლების მანძილზე ქართულ მედია სივრცეში ჩამოყალიბდა მედია საშუალებების გუნდი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ანტიდასავლურ საინფორმაციო კამპანიაში. კვლევების თანახმად, ანტიდასავლური განწყობების მთავარი წყარო სწორედ მედიაა და ყველაზე ხშირად ანტიდასავლური გზავნილები ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ კონტექსტში გვხვდება.

არის შემთხვევები, როდესაც ანტიდასავლური შინაარსის მედია საშუალებები სარეკლამო შემოსავლების სახით საბიუჯეტო სახსრებსაც იღებენ. თუმცა რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ანტიდასავლურ კამპანიაში ჩართული არასამთავრობო თუ მედია ორგანიზაციების რუსული კავშირების გამოკვეთაც.

2015 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ კვლევაში "ვინ ფლობს ქართულ მედიას", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" მოახერხა იმ ონლაინ მედიების და ე.წ.

არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირების და მფლობელების გამოკვეთა, რომლებიც ორგანიზებულად მონაწილეობენ ანტიდასავლურ და პრორუსულ კამპანიაში და ამავე დროს პირდაპირ არიან დაკავშირებულ რუსეთში დაფუძნებულ თუ საქართველოში მოქმედ პრორუსულ ორგანიზაციებთან - "ევრაზიის ინსტიტუტთან" და "ევრაზიულ არჩევანთან".

გარდა ონლაინ მედიისა, ანტიდასავლური ქართულ მედია სივრცეში გაჩნდა რამდენიმე სატელევიზიო არხი და ონლაინ ტელევიზია, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდის გზავნილების გავრცელებაში. ამ ახალი ტელეარხების მფლობელობის საკითხები ასევე მოექცა ჩვენი ყურადღების ცენტრში. მათ შორის ვიკვლიეთ: შპს ქართული არხი (ყოფილი "TV კვირიკე"); შპს ქართული ტვ; შპს ხარისხის არხი ("დრო TV"); შპს საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია („ახალი საქართველო"); პატრიოტი TV - მათი მფლობელები და კავშირები სხვა მედია საშუალებებთან და ანტიდასავლურად განწყობილ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ ჯგუფებთან. ხშირ შემთხვევებში კავშირები აშკარაა, თუმცა ბევრ კითხვას აჩენს მსგავსი მედია საშუალებების დაფინანსების წყაროები.

პრორუსული და ანტიდასავლური მედიის ეს გამოკვეთილი ჯგუფი ძალიან მჭიდრო კავშირშია ასევე საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებთან გაცხადებული პრორუსული დღისწესრიგით, როგორებიცაა "პატრიოტთა კავშირი" და "ცენტრისტები".

" ,

." -

, 2016 Media sustainability Index, MSI 2016

სარეკლამო ბაზარი

სამთავრობო ცვლილებებიდან მალევე სარეკლამო სექტორში ძირეული ცვლილებები მოხდა. „ჯენერალ მედია" - მონოპოლისტი კომპანია, რომელიც ნაციონალურ არხებზე რეკლამას ყიდდა, აღარ არსებობს. ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, რომელიც 2011 და 2012 წლებში რამდენიმე უმსხვილეს სარეკლამო კომპანიას აკონტროლებდა, სარეკლამო სექტორში აღარ ფიგურირებს. მისი კუთვნილი რამდენიმე კომპანია წარმოშობით ქართველი რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის, დავით იაკობაშვილის ხელში გადავიდა.

2014 წელს შემოსავლების სამსახური რეიტინგების მთვლელი კომპანია TVMR საქართველოსგან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას ითხოვდა, რამაც კომპანიის საქმიანობას საფრთხე შეუქმნა. რამდენიმე თვეში კი ბაზარზე ახალი მთველი კომპანია შემოვიდა. რეიტინგების ორი მთვლელის არსებობა და მათ მონაცემებს შორის არსებული განსხვავება ბაზარზე დაბნეულობას იწვევს.

2015 წელს მაუწყებელთა სარეკლამო შემოსავლებმა მნიშვნელოვნად იკლო. ტელევიზიების მიერ დეკლარირებული სარეკლამო შემოსავლები 2015 წელს წინა წელთან შედარებით 33

პროცენტით შემცირდა. ეს კლება რთული ეკონომიკური გარემოთი და ლარის დევალვაციითაა განპირობებული, თუმცა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებს მაუწყებლობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები (ცვლილებებით შემცირდა ერთ საათში დასაშვები რეკლამის წუთობრივი მაქსიმუმი), რომლებიც მოკლე ვადებში ამოქმედდა. ასევე დარეგულირდა ტელე და რადიო სივრცეში პროდუქტის განთავსება, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

08.03.2013 - პარლამენტმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შესასწავლად დროებითი საგამოძიებო კომისია შექმნა. კომისიამ ანგარიში პარლამენტს 2014 წლის მარტში წარუდგინა, მასალები კი პროკურატურაში გადააგზავნა.

15.4.2013-კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი თანამდებობიდან გადადგა. იქამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში ის სამსახურში არ დადიოდა. მოგვიანებით ჩიქოვანმა წევრის თანამდებობაც დატოვა.

01.11.2013 - პარლამენტმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს კარლო კვიტაიშვილს იმპიჩმენტი გამოუცხადა და თანამდებობიდან გადაყენა. შედეგად, კომისიაში ორი ვაკანტური თანამდებობა გაჩნდა. მას შემდეგ რაც დანარჩენ სამ წევრს, სოფიო ბრიტანჩუკს, აკაკი სიხარულიძეს და ირაკლი მოსეშვილს უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ (2014 წლის მარტი), კომისიის სრული შემადგენლობის დაკომპლექტება ხელახლა დაიწყო.

24.01.2014 - პარლამენტმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად კახი ბექაური აირჩია. ბექაური მეცხრე არხის დირექტორის პოზიციას იკავებდა.

16.04.2014 - პარლამენტმა კომისიის წევრად ვახტანგ აბაშიძე აირჩია. ეს აბაშიძის არჩევის მეორე მცდელობა იყო. მარტში ვერც მან და ვერც სხვა კანდიდატებმა პარლამენტში ხმების საკმარისი ოდენობა ვერ მოიპოვეს. აბაშიძის ძმა, ზურაბ აბაშიძე რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს წარმომადგენელია.

19.02.2015 - პარლამენტმა კომისიის წევრებად ელისო ასანიძე, მერაბ ქათამაძე და გიორგი ფრუიძე აირჩია. შედეგად კომისია სრულად ახალი წევრებით დაკომპლექტდა. ქათამაძე რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო, ფრუიძის მეუღლე ნათია ლაზაშვილი კი მთავრობის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში მუშაობს.

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ამჟამად რეორგანიზაცია მიმდინარეობს. შეიცვალა კომისიის ორგანიზაციის სტრუქტურა. ამჟამად კი თანამშრომელთა ატესტაციის პროცესი იგეგმება. თანამშრომელთა ნაწილი მიმდინარე რეორგანზიაციის პროცესით უკმაყოფილოა.

11.02.2015 - კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მომხმარებელთა საზოგადოებრივი ინტერესების დამცველის სამსახური შეიქნმა, კომისიაში ეს სამსახური 2007 წლის შემდგომ არ ყოლია. სამსახურის უფროსად თამთა ტეფნაძე დაინიშნა.

პრობლემურ საკითხად რჩება აპარატში ნეპოტიზმის ფაქტები. მომხმარებელთა საზოგადოებრივი ინტერესების დამცველის სამსახურში ამ მომენტისთვის ზურაბ ტყემალაძის ძმის შვილიშვილი, ზურაბ ტყელამაძის ნათლული, ზურაბ ტყემალაძის კომიტეტის ყოფილი თანამშრომელი თამთა ტეფნაძე, პარლამენტარი დიმიტრი ხუნდაძის შვილი. ტეფნაძის თანაშემწედ ასევე მუშაობს მისივე მეჯვარე, ნათია ფანგანი რომელიც აპარატში 2015 წელს იყო დანიშნული.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავად თამთა ტეფნაძე კომისიაში სამუშაოდ გადმოსვლამდე, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში მუშაობდა, იმ კომიტეტში რომელსაც ზურაბ ტყემალაძე ხელმძღვანელობს.

ზურაბ ტყემალაძე ხელმძღვანელობდა იმ კომისიას, რომელმაც თამთა ტეფნაძე მომხმარებელთა საზოგადოებრივი ინტერესების დამცველის სამსახურის უფროსად დაამტკიცა.